

წარდგენილი შეკითხვები და პასუხები/Submitted Questions and Answers

FSM-2024-10-27

შეკითხვები [დანართი 1. საპროექტო დოკუმენტაცია Annex 1. Project Documentation](#)- თან მიმართებით/Questions regarding [დანართი 1. საპროექტო დოკუმენტაცია Annex 1. Project Documentation](#).

Q 1. ტენდერში მოცემული ავეჯის ფასები ჩვენ უნდა მოგაწოდოთ? კერძოდ: კომპიუტერის მაგიდეები, პრინტერის მაგიდა, საოფისე სკამები, რბილი სავარძელი და კარადა/ Should we provide the prices for the furniture indicated in call for service? Particularly: Computer tables, printer table, office chairs, sofa and closet.

Q 1. პასუხი/Answer

ტენდერით არ არის მოთხოვნილი სასოფლო ციფრული ჰაბის მოსაწყობად საჭირო ავეჯის, კერძოდ, კომპიუტერის მაგიდების, პრინტერის მაგიდის, საოფისე სკამების, რბილი სავარძლისა და კარადის ფასების წარდგენა. ტენდერით მოთხოვნილი **საპროექტო, სადემონტაჟო და სარეაბილიტაციო** სამუშაოების ჩამონათვალი მოცემულია [დანართი 1. საპროექტო დოკუმენტაცია Annex 1. Project Documentation](#)-ში (იხ. „ტექნიკურ დავალება“ გვ.1-12) ხოლო, ავეჯი მითითებულია საპროექტო და ელექტროობის სქემების უკეთ დაგეგმარების მიზნით.

The call for service doesn't request to present the prices of the furniture defined by the project documentation necessary for arrangement of Digital Rural Hub, particularly, computer tables, printer table, office chairs, sofa and closet. The list of **planning, dismantling and rehabilitation** works requested by the call for service can be found in [დანართი 1. საპროექტო დოკუმენტაცია Annex 1. Project Documentation](#) (see, „Terms of reference“ pp. 1-12). Thus the furniture is referred to for the purposes of better planning of project and electricity schemes.

Q 2. სველ წერტილში მოცემულია კაფელის დემონტაჟი და ახალი კაფელის მოწყობა არ არის მოცემული/ The bathroom includes tile dismantling and no new tile installation.

Q 2. პასუხი/Answer

[დანართი 1. საპროექტო დოკუმენტაცია Annex 1. Project Documentation](#)-ში მოცემული „5 მოთხოვნები და რეკომენდაციები გამოსაყენებელ მასალებზე“ (იხ. გვ.5), ითვალისწინებს, სველი წერტილის მოწყობას კედლის გაღესვით ქვიშა-ცემენტის ხსნარზე და შეღებვას წყალმდევეი საღებავით. ჭერი უნდა მოეწყოს თაბაშირ მუყაოს ნესტგამძლე ფილის გამოყენებით, თავისი კარკასით და ლედ ელ.სანათებით. ხოლო, იატაკზე უნდა განთავსდეს კერამიკული ფილა ხაოიანი, გლუვი ზედაპირით, არასრიალა, როგორც მშრალ, ისე სველ მდგომარეობაში, სწორი გეომეტრიის.

სველი წერტილის მოწყობასთან დაკავშირებით მოთხოვნილი მინიმალური სამუშაოების ჩამონათვალი:

1. მეტლახის დაგება იატაკზე;
2. ჭერის მოწყობა ნესტგამძლე თ/მ ფილებით და ღებვა;
3. ლედ სანათების მონტაჟი;
4. ელ. ჩამრთველის მონტაჟი;
5. ხელსაბანის მოწყობა;
6. უნიტაზის მოწყობა;
7. წყლის შემრევის მონტაჟი.

5 Requirements and recommendations for materials to be used (see, p. 9) included in the [დანართი 1. საპროექტო დოკუმენტაცია Annex 1](#) requests plastering the wall of the bathroom with sand-cement solution and painting with water resistant paint. The ceiling should be arranged using the gypsum board moisture resistant tile with its own frame and LED lights and the ceramic tile with a rough, smooth surface, non-slip in both dry and wet conditions and having the correct geometry should be placed on the floor of the bathroom.

The minimum list of works requested regarding the arrangement of the bathroom:

1. Laying the tile on the floor;
2. Installation ceiling with moisture-resistant g/b tiles and painting;
3. Installation of LED lights;
4. Electrical switch installation;
5. Arrangement of sink;
6. Arrangement of toilet;
7. Installation of water mixer.

Q 3. ელექტროობის ნაწილში მოცემული არ არის ინტერნეტის კაბელის და როზეტების მოწყობა/ The part of electricity doesn't include the arrangement of internet cable and sockets.

Q3. პასუხი/Answer

გეგმარებითი ესკიზი ელექტრო მოწყობილობების დატანით და ელექტრო მოწყობილობების სპეციფიკაცია შეგიძლიათ იხილოთ დანართი [1. საპროექტო დოკუმენტაცია Annex 1. Project Documentation](#)-ში (გვ. 17). ამას გარდა, დამატებით განგიმარტავთ, რომ ტენდერში მონაწილე აპლიკანტმა ელექტროობის მიმართულებით, უნდა გაითვალისწინოს და წარმოადგინოს ის ბაზისური სამუშაოები, რაც აუცილებელია სივრცის ელექტროენერგიით მომარაგებისთვის, მათ შორის, იგულისხმება როზეტებისა და იმგვარი საბაზისო გაყვანილობის მოწყობა, რაც შემდგომში, ინტერნეტ სერვისის პროვაიდერისთვის შესაძლებელს გახდის სივრცის ინტერნეტით უზრუნველყოფას.

You can find the **Layout sketch with electrical equipment and specifications of electrical devices in [1. საპროექტო დოკუმენტაცია Annex 1. Project Documentation](#)**-ში (p. 17). For further clarification, in the context of electricity the tenderer should consider and present the basic works, that is necessary to

supply the space with electricity, including the arrangement of sockets and basic wiring that will enable the internet service provider to equip the space with internet service.